10.55804/TSU-ti-3/Tavdgiridze

ეთნოგრაფიული ტურიზმი და სოციალური მედია საქართველოში ქალაქისა (ბათუმი) და სოფლის მაგალითებზე (მერისი)

ETHNOGRAPHIC TOURISM AND SOCIAL MEDIA IN GEORGIA ON THE EXAMPLE OF THE CITY (BATUMI) AND THE VILLAGE (MERISI)

ნათია თავდგირიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Natia Tavdgiridze Shota Rustaveli Batumi State University

https://orcid.org/0009-0001-5866-1907

საკვანძო სიტყვები: *ეთნოგრაფია, ტურიზმი, სოფელი*

Keywords: *ethnography, tourism, village*

ABSTRACT

The purpose of this research is to present the role that ethnographic tourism and social media play in fostering the tourism industry's growth. Nowadays, social media stands out as an excellent platform for showcasing Georgia's cultural-historical treasures. To leverage this, it is crucial to identify locations of cultural value and design the country's tourist routes accordingly. Among the post-Soviet countries, Georgia is a country with a rich diversity of ethnographic regions. From the point of view of tourism resources, Adjara is particularly special among these regions. The best example of transformation is the newly transformed and modernized city of Batumi, often referred to as the "Batumi Miracle". The city of Batumi and the region of Adjara, in general, are successful examples of regional development based on tourism. The issue discussed in the paper is highly relevant today because social media represents the most effective platform for showcasing Georgian tourism, the proper use of which in specific contexts is crucially important. In the past, discovering the country's attractive locations required extensive travel, whereas now, through social media, interested individuals can explore and gather information about various travel routes from the comfort of their screens. In the 21st century, even a few seconds of video clips from leading media outlets can compel travelers to pack their bags and journey to the captivating seaside town of Batumi. The visual effect plays a crucial role in boosting tourism business development, as exemplified by our TV series of informative and entertaining programs, titled "One Day in the Village". For eleven years through this project, we have been exploring the highlands of Adjara, showcasing its tourist destinations, history, ethnography, and folklore to our viewers. For instance, the local traditional cuisine has already been honored by UNESCO as a cultural heritage monument. These programs have played a pivotal role in uncovering and developing several previously unknown tourist routes into popular tourist attractions. The materials studied offer intriguing insights. In today's highly developed tourism landscape, competition and expectations have risen accordingly. Naturally, travel has evolved into a compelling ritual for people from nearly every country. Through observation over time, it's clear that tourists no longer seek out just the same locations. Hence, Adjara tourism now targets not only the city of Batumi and its picturesque sea but also the surrounding mountain villages. Previously, the social media campaign "Spend Your Summer in Georgia" has now evolved to include the challenge "Spend 4 Seasons in Georgia," which has piqued the interest of those in the tourism sector. This shift indicates that the region offers travelers more than just the sea, boulevard, botanical garden, and Roman Gonio Castle; now, Adjara with its mountains and passes is attracting visitors throughout all four seasons. An important innovation has emerged in the form of new tourist routes, focusing specifically on the ethno-cultural aspects of Batumi, the Pontic Greeks, and the Merisi Valley. These elements provide the basis for creating structured routes for guides and presenting key events in social media and ethnographic tourism through video studies produced by the authors. The main theoretical and methodological foundations of our research include field-ethnographic materials, visualization of ethnographic facts, modern literary sources, and scientific research. Our preferred research methods prioritize the historical-comparative method, as well as quantitative and qualitative research approaches. According to the research, it has been found that the strategy for tourism development in Georgia aligns with globally recognized principles of sustainable tourism. However, being a relatively young sector in Georgia, it is not immune to certain shortcomings, and some elements may not fully meet market requirements. Therefore, to effectively showcase the tourist infrastructure, it is essential to use media more effectively and develop a comprehensive plan that integrates all tourist locations and cultural values. This plan should systematically process each element within its contextual direction.

მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში გარკვეულ ქვეყნებს თავისი ნიშა უკვე უჭირავს, რომელთა მაგალითზე აღმოსავლეთი ევროპისა და დასავლეთი აზიის რეგიონების სხვადასხვა ქვეყანა ცდილობს თავიანთი გამოცდილებები განაახლონ და ასევე განახლებული ტურისტული პროდუქტებით თავიანთ ქვეყნებში ტურისტების მიზიდვა შეძლონ. ტურისტული ინდუსტრია განვითარების ფართო სპექტრს ქმნის და ეს საქართველოსაც შეეხება. ამ მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო ეთნოგრაფიული მხარეებით გამორჩეული მრავალფეროვანი ქვეყანაა. საქართველოს კულტურულ-ისტორიული ფასეულობებისა და ტურიზმის წარმოსაჩენად სოციალური მედია დღეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა, პლატფორმაა, რომლისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს კულტურული ღირებულებების ადგილების განლაგების დადგენა და, შესაბამისად, ქვეყნის ტურისტული მარშრუტების განსაზღვრა. კონკრეტულ პირობებში მათი სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანესია.

ტურისტული რესურსების თვალსაზრისით საქართველოს მხარეებს შორის აჭარა განსაკუთრებულია, ახლადგარდაქმნილი და მოდერნიზებული ქალაქი, ბათუმი კი ტრანსფორმაციის საუკეთესო მაგალითია. მას „ბათუმის სასწაულს" უწოდებენ. ქალაქი ბათუმი და, ზოგადად, აჭარის რეგიონი, ტურიზმზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების წარმატებული ნიმუშია. თუ ძველად ქვეყნის გასაცნობად და მიმზიდველი ადგილების აღმოსაჩენად ხანგრძლივი მოგზაურობა იყო საჭირო, ახლა სოციალური მედიის საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ყველა ის მარშრუტი მოიძიონ, სადაც მოგზაურობა სურთ, გაეცნონ მრავალფეროვან მასალას და ინფორმაცია შეკრიბონ. შესაბამისად, სასურველი თავგადასავლისთვის უკეთესად მოემზადონ.

XXI საუკუნეში წამყვანი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული რამდენიმეწამიანი ვიდეორგოლების ნახვაც კი საკმარისია იმ ეფექტის მოსახდენად, რაც მოგზაურს ბარგს ჩაალაგებინებს და მიმზიდველ ზღვისპირა ქალაქ ბათუმში ჩაიყვანს. ტურისტული ბიზნესის განსავითრებლად ვიზუალური ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რომლის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ მომზადებული შემეცნებით-გასართობ გადაცემათა სატელევიზიო ციკლი – „ერთი დღე სოფელში". ამ პროექტის საფუძველზე აჭარის მაღალმთიანეთში უკვე თერთმეტი წელია ვმოგზაურობთ და მაყურებელს აჭარის საინტერესო ტურისტულ ადგილებს, მის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს ვაცნობთ. ნიმუშისათვის, ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, უკვე იუნესკოს მიერაცაა აღიარებული. სწორედ ამ გადაცემების მეშვეობით აქამდე უცნობი არაერთი ტურისტული მარშრუტი აღმოჩნდა და ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბდა.

დღეს, როცა ტურიზმი ასე განვითარდა, შესაბამისად გაიზარდა კონკურენცია, მოთხოვნები და, ბუნებრივია, რომ თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის მოგზაურობა საინტერესო რიტუალად იქცა. დროში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტურისტებს უკვე აღარ მოსწონთ ერთი და იმავე ადგილების ხილვა და ისინი სიახლეს მოითხოვენ. ამიტომ, აჭარის ტურიზმის სამიზნედ იქცა არა მარტო ქალაქი ბათუმი და თვალწარმტაცი ზღვა, არამედ მის მიმდებარედ არსებული მთიანი სოფლებიც. თუ აქამდე სოციალურ ქსელში იყო კამპანია „Spend Your Summer in Georgia", ახლა ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის საინტერესო გახდა გამოწვევა – „Spend 4 Season to Georgia", რაც იმას ნიშნავს, რომ ეს რეგიონი მოგზაურთათვის არა მარტო ზღვით, ბულვარით, ბოტანიკური ბაღით და რომაული ხანის გონიოს ციხით არის საინტერესო, არამედ მთითა და უღელტეხილებით. შესაბამისად, აჭარა უკვე ოთხივე სეზონზე მოთხოვნადი გახდა. ამის ნათელი საილუსტრაციო ნიმუშია ბათუმიდან სამი საათის სავალ გზაზე არსებული გოდერძის უღელტეხილი, რომელიც წარმოდგენილია ალპური მდელოებითა და ტყიან ზოლში არსებული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით (ხალვაში და სხვანი, 2019, გვ.15-25). გოდერძი აჭარის სამთო-სათხილამურო კურორტია. ეს არის მთა, სადაც თოვლი ყველაზე ადრე მოდის და ყველაზე გვიან დნება. კურორტ გოდერძიზე ყველაზე გრძელი – შვიდკილომეტრიანი სასრიალო ტრასაა. ექსტრემის მოყვარულები ამ ადგილს. გაუკვალავ თოვლში სრიალის გამო, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. გოდერძის უღელტეხილზე მზარდი მოთხოვნების გამო, საოჯახო სასტუმროების პარალელურად ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებიც მრავლადაა, სადაც ტურისტს დასვენებისთვის ყველა პირობა ხვდება.

მიმზიდველი მდებარეობის და მრავალფეროვანი დასასვენებელი ადგილების წარმოსაჩენად ტურიზმის დეპარტამენტმა არაერთი ვიდეორგოლი და სტატია მოამზადა, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ტელევიზიებსა თუ ჟურნალებში გამოქვეყნდა. ამით ჩვენ ვცდილობთ ბათუმი მიმზიდველი და პოპულარული გავხადოთ არა მარტო მეზობელი ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოს ისეთი ქვეყნებისთვისაც, რომელთა მთავარი ღირებულება ტურიზმი და ახალი ლოკაციების აღმოჩენაა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს, ბათუმმა, როგორც ევროპისა და შემდეგ უკვე, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ, World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. 2023 წლის 30 სექტემბერს კი ბათუმში ევროპის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მსოფლიოში ოსკარის სახელით ცნობილ გალა ცერემონიაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანმა კომპანიებმა, სასტუმროებმა, ტურისტულმა სააგენტოებმა და ბიზნესორგანიზაციებმა მიიღეს მონაწილეობა.

აღნიშნული ღონისძიება საერთაშორისო მედიის სამასამდე წარმომადგენელმა გააშუქა. ამ თვალსაზრისით, სოციალური მედიის როლი და თანამედროვე გამოწვევები უმნიშვნელოვანესი იყო აღნიშნული მოვლენის მასშტაბური გავრცელებისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ტურიზმის საინტერესო ადგილების დამსვენებლებამდე სწორად შეფუთვა და მიტანა სჭირდება, რა როლსაც XXI საუკუნეში სოციალური მედია კისრულობს (თავდგირიძე, 2024).

ჩვენი მიზანია მედიასაშუალებების გამოყენებით განვსაზღვროთ კულტურული მემკვიდრეობის როლი აჭარის ტურიზმის განვითარებაში, ვეძებოთ ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზა, რათა სამომავლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეპტუალური მოდელი ჩამოვაყალიბოთ.

ამისთვის დღის წესრიგში დადგა ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორებიცაა კულტურული ტურიზმის სახეობათა განსაზღვრა, ტურისტული მარშრუტებისა და ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობების დადგენა, კულტურული (არამატერიალური და მატერიალური) და რელიგიური ტურიზმის უმთავრესი მახასიათებლების შეფასება, შესაბამისად, რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და მათი მოგვარების გზების ძიება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალური მედიის საშუალებით მომხმარებლებისათვის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქციის შეთავაზება და ამ პლატფორმის სწორად გამოყენება, ამის გათვალისწინებით კი სამომავლო ხედვების საფუძველზე ოპტიმალური ტურისტული მოდელის დამუშავება.

კვლევის მეთოდები

ჩვენი კვლევის ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია საველე-ეთნოგრაფიული მასალები და ეთნოგრაფიული ფაქტების ვიზუალიზაცია; ლიტერატურული წყაროები და სამეცნიერო კვლევები. კვლევის მეთოდებიდან ჩვენთვის პრიორიტეტულია ისტორიულ-შედარებითი, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია აჭარის რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ დახასიათებაზე, ქალაქ ბათუმის, საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნებისა და მერისის ხეობის ეთნოკულტურულ თავისებურებებზე, რომლის საფუძველზე გიდებს შეიძლება მოდელირებული მარშრუტები შევთავაზოთ და ავტორთა მიერ შექმნილი ვიდეოეტიუდების მაგალითზე სოციალური მედიისა და ეთნოგრაფიული ტურიზმისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი მოვლენები განვიხილოთ.

ქალაქი ბათუმი

ბათუმი ევროპული ტიპის ქალაქია აღმოსავლური აქცენტებით, რომლის ისტორია და თანამედროვეობა მრავალ საინტერესო ეპიზოდს აერთიანებს. ყურადღებას იქცევს ქალაქის ეთნოკონფესიური პორტრეტი, მასთან დაკავშირებული ტურისტული პოტენციალი და კულტურული რესურსები: ქრისტიანული – მართლმადიდებლური და კათოლიკური ტაძრები, სინაგოგა, მეჩეთი, მიმზიდველია ძველი ბათუმის არქიტექტურა, შესაბამისად, ქალაქი გამორჩევა შიდა ტურისტული მარშრუტებით (ელიზიანი და რაიცი, 2010;აზმაიფარიშვილი, 2019). ბათუმისა და მისი შემოგარენის საფორტიფიკაციო, საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, ხალხური ხითხუროობის ნიმუშები, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები, საინჟინრო ნაგებობები, ფორმითა და შინაარსით მეტ-ნაკლებად შეესატყვისება ზოგადად აჭარის კულტურულ მოზაიკას, თუმცა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმმა ევროპული ქალაქების სტილში აღმოსავლური აქცენტებით დაიწყო განვითარება. საქალაქო არქიტექტურის ძეგლები ადასტურებენ, რომ საქართველოს ძირძველი კუთხე – აჭარა კულტურული მემკვიდრეობის ნუმუშებით მდიდარი მხარეა. მატერიალური კულტურის ძეგლები, ლიტერატურული წყაროები, ხალხური გადმოცემები აქ მაღალი სამშენებლო ტრადიციების არსებობას ადასტურებს. უძველესი ციხე-სიმაგრეები, ხიდები, მათ შორის, შუასაუკუნეების ხისა და ქვის თაღოვანი ხიდები, მუზეუმები, ნაეკლესიარები თუ ეკლესიები, მუსლიმანური სამლოცველოები – მეჩეთები ამ კუთხის მრავალფეროვნებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს (მგელაძე და ლორია, 2010; ბარამიძე, 2010). ამასთან, აჭარის კულტურული მემკვიდრეობა ბათუმში, ისე როგორც მთიანი სოფლის ტიპის დასახლებებში ქართული ისტორიისა და კულტურის ნაწილია. მისი ისტორიული ღირებულებები, სხვა რეგიონის ფასეულობებთან ერთად, ქართული კულტურის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს და მახლობელი ქრისტიანული თუ ისლამური ტრადიციების მქონე ქვეყნების კულტურასთან მჭიდრო კონტაქტებს ავლენს.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „მცირე ქალაქი" ბათუმი მდინარე ყოროლის წყლის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარეობდა. XVIII საუკუნის დამლევიდან ძველმა დასახლებამ თანდათან სამხრეთით გადაინაცვლა, რადგან აქ ქალაქის გაშენების შესაძლებლობას ყურის გარშემო არსებული ვრცელი დაბლობი ქმნიდა, რომელიც მაშინ ხშირი ტყით და ჭაობით იყო დაფარული (მალაყმაძე და ფუტკარაძე, 2024,გვ.7). 1878 წლიდან აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ ბათუმი საპორტო ქალაქად იქცა. XIX საუკუნის 80-90 წლებისთვის პარა-

ლელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელით ბათუმის დაგეგმარება უკვე განსაზღვრული იყო. ქალაქი სანაპირო ზოლში გაშენდა და მისი ბუნებრივი ორიენტირით, ზღვით, შემოისაზღვრა. საპორტო ქალაქის სპეციფიკამ არქიტექტურული სივრცის ბუნებრივი დომინანტიდან, ზღვიდან, ორიენტირებას შეუწყო ხელი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ყველაზე მეტად სწორედ ბათუმის საკულტო არქიტექტურაში აისახა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ამ პერიოდის ბათუმი მულტიკონფენსიური ქალაქი იყო. აქ ერთმანეთის გვერდით ქრისტიანული, მუსლიმური, ებრაული და სხვა კონფესიების სალოცავები თანაარსებობდა. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ბათუმის არქიტექტურა, ისე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებისა, რუსეთისა და ევროპის ქალაქების სპეციფიკას გამოხატავდა და ,,ევროპეიზებულ", ,,კოსმოპოლიტურ" ხასიათს ატარებდა (ჭიჭილეიშვილი, 2010; მგელაძე, 2013)

ქალაქ ბათუმის ისტორიულ უბანში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ბერძნულად წოდებული მართლმადიდებლური ტაძარი ბათუმის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული საეკლესიო ნაგებობაა. იგი 1865-1871 წლებში ადგილობრივი ქართველი საზოგადოების მხარდაჭერით ბერძნების დაკვეთით აიგო. გარე ფორმებისა თუ ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტით, ტაძარი ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებთან იჩენს სიახლოვეს. დღეს ტაძარი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობაშია.

რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ ბათუმში კათოლიკეთა რიცხვი გაიზარდა. კათოლიკე ქართველებთან ერთად მომრავლდნენ ქალაქში ჩამოსული ევროპელი კომერსანტები, მრეწველები, საკონსულოებში მომუშავე დიპლომატები, რაც, თავის მხრივ, ეკლესიის აშენების აუცილებლობას განაპირობებდა. ბათუმის კათოლიკური თემისთვის განკუთვნილი ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი 1898-1902 წლებში ცნობილი ქართველი ნავთობმრეწველისა და მეცენატის – სტეფანე ზუბალაშვილის შემწეობითაა აგებული. არქიტექტორ ალექსანდრე როგოისკის პროექტით აშენებული ტაძარი ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. 1989 წლიდან ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობაშია. აქვე უნდა გამოიყოს გასულ საუკუნეში აგებული სომხური ეკლესია და ებრაელთა დიასპორის ინიციატივით აშენებული სინაგოგა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის მულტიკონფენსიურ სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი მუსლიმურ სალოცავებს ეჭირა. 1909 წლის რუკის მიხედვით ბათუმში ,,აზიზიეს", ,,ახმედიესა" და ,,მუფთიეს" მეჩეთები ფუნქციონირებდა. აჭარის სამუფთოს ცენტრალური მეჩეთი 1866 წელს არის აგებული. მას ,,ორთაჯამე" ანუ ,,შუა ჯამე" ეწოდება, რადგან იგი ორ მეჩეთს – ,,აზიზიესა" და ,,მუფთიეს" შორის იყო განთავსებული. ბათუმის ,,ორთა ჯამე" ქართული და ისლამური კულტურული ტრადიციების სინთეზის ნიმუშია (ბარამიძე, 2010, 2014; ჭიჭილეიშვილი, 2024: გვ.126-150).

ბათუმი გამორჩეულია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დასახლებებით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია პონტოელი ბერძნების დასახლება.აჭარის ზღვისპირეთში ბერძნული დასახლებები გვხვდება სოფლებში: ახალშენი, ყოროლისთავი, ფერია, დაგვა, კვირიკე, აჭყვა, ქალაქებში: ბათუმი და ქობულეთი. ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და მახლობელი სოფლების გარდა, ბერძნები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ და უმეტესად ხელოსნობას – მჭედლობას მისდევდნენ (მგელაძე და გიორგაძე, 2020). ეთნოგრაფიული კუთხით საინტერესოა აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საკარმიდამო კომპლექსი, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობასთან ერთად საცხობსაც მოიცავდა. მას „ფურუნი" ეწოდებოდა. „ფურუნი" პურის საცხობად ნაკლებად გამოიყენებოდა. ახლო წარსულში მას ჭყინტი სიმინდის გასახმობად, სხვადასხვა ხილისაგან ჩირის დასამზადებლად და „პასკის" საცხობად იყენებდნენ.

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა უმეტესობა თავის დროზე ტრაპიზონის, ყარსისა არგიროპოლისის მიდამოებიდან შევიწროებას გამოერიდა და მათი დიდი ნაწილი საქართველოში დასახლდა. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნების საეკლესიო არქიტექტურას უჭირავს. ამიტომ, პონტოელ ბერძნებთან მიმართებით აქ კულტურულ გარემოსთან და ყოველდღიურობასთან დაკავშირებულ იმ ასპექტებს განვიხილავთ, რომლებიც საქართველოს შავიზღვისპირეთში, ბათუმსა და მისი შემოგარენში პილიგრიმულ ტურიზმს უკავშირდება, რადგან პონტოელი ბერძნები საქართველოში პილიგრიმული ტურიზმის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა. პონტოელ ბერძენთა განსახლების აჭარის არეალში – ქალაქში თუ ყველა სოფელში ერთი ეკლესია, ზოგ შემთხვევაში კი – რამდენიმე მართლმადიდებლური ეკლესია მაინც გვხვდება. ხალხური გააზრებით, ისინი დღემდე ცნობილია, როგორც ბერძნული ეკლესიები. ამ მხრივ, ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია ერთგვარი გამონაკლისია, რომელსაც ერთი პერიოდი რუსულ ეკლესიასაც ეძახდნენ. სოფლებში, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ, თითქმის ყველგან ამა თუ იმ წმინდანის სახელზე ეკლესიები მათ მიერვე იგებოდა: სოფელ კვირიკეში წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია, ასევე, წმიდა გიორგის ეკლესია; სოფელ დაგვაში – ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; სოფელ აჭყვაში – პეტრე-პავლეს და წმინდა თეოდორეს ეკლესიები; ორთაბათუმში – წმიდა პანტელეიმონის ეკლესია, ხოლო სოფელ ახალშენში – ფერისცვალების ეკლესია.

ყველა წმინდანს იმავე ეკლესიაში შესაბამისი საეკლესიო პროცედურით მისი სახელობის სადღესასწაულო დღე ეძღვნებოდა. დღესასწაული იყო არა მხოლოდ სოფლის მაცხოვრებელთა შეკრების, არამედ ნათესავთა, მათ შორის, სოფლიდან სხვა მხარეში გადასულთა გაერთიანების ადგილი. ტაძრების არქიტექტურაში სინთეზირებულია ბიზანტიური, ოტომანური და ქართული ხუროთმოძღვრული ელემენტები (ლორია, გიორგაძე, მგელაძე, 2017).

სოფელი მერისი

სოფელი მერისი ბათუმიდან ერთი საათის სავალ გზაზე მდებარეობს. იგი რამდენიმე სოფლისგან შედგება, ესენია: გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სიხალიძეები, სილიბაური და საკუთრივ მერისი. ამ ხეობას ასევე მთა „ნაკონაღვარი" ეკუთვნის, რომელიც ბათუმთან ყველაზე ახლოს მდებარე საიალაღო მთაა. აქ არსებული ავთენტური ბუნება და ადგილობრივების მიერ შემონახული ტრადიციული ყოფის ამსახველი ნიუანსების ნახვა უცხოელი ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია.

მერისის ხეობა აჭარის ტურისტულ რუკაზე შედარებით ახალი მარშრუტია, რომელსაც დანარჩენი მიმართულებებისგან უგემრიელესი ტრადიციული კერძების გარდა, განსხვავებული საოჯახო სასტუმროები გამოარჩევს. აქ ბოლო რამდენიმე წელია საოჯახო სასტუმროებთან ერთად თანამედროვე ხის კოტეჯები განთავსდა, რომელთაგან რამდენიმე კოტეჯი მსოფლიო პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად ასეთია: „Eko House Merisi", ,,Mokvare" და „GreenWood Merisi". დასვენებასთან ერთად აქ ჩამოსულ ტურისტებს სასტუმროები ფოლკლორულ მასტერკლასებს სთავაზობს და სტუმრები ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ. თურმანიძეების მომღერალ ოჯახში სამი თაობა მღერის. ისინი თვითნასწავლი მუსიკოსები არიან, რომელთა ძირითადი შემოსავალი უცხოელი მუსიკოსებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სწავლებაა. მათ საფრანგეთიდან, ჩინეთიდან, ავსტრიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩასული ტურისტები სტუმრობდნენ.

გამორჩეულ ადგილმდებარეობასთან ერთად მერისის ხეობა საინტერესოა ისტორიული წარსულითა და ღირსშესანიშნაობებით (თავდგირიძე, 2023). მერისში მოგზაურობისას გზად ქედის ისტორიულ მუზეუმში მოხვდებით. აქ ადგილობრივი ყოფის ამსახველი ყოველდღიური ნივთები, სამოსი, შრომის იარაღები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი. აჭარული თოფის, „მაჭახელასა", და ძველებური სკივრების, ტრადიციული სამოსების გვერდით, შიდაგაშიგ საბჭოთა სიმბოლიკის ნიმუშებსაც შეხვდებით. ასევე, სოფლისკენ მიმავალ გზაზე საუკუნეების წინ ლაზი ოსტატების მიერ აგებული მუსლიმანური სამლოცველოს, მეჩეთის, ნახვაც შეიძლება, რომელიც ისტორიული ძეგლის სტატუსს ატარებს. საინტერესო სანახავია მერისის სხვადასხვა სოფელში გაბნეული უძველესი ქვის საწნახელები, რომელთა გვერდით მევენახეები ვაზს ახარებენ და ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძნისაგან უგემრიელეს ღვინოს აყენებენ. პოპულარული ქედის ღვინის პარალელურად სოფელ ინაშარიძეებში ტურისტს შესაძლებლობა აქვს მინერალური წყალი მიირთვას და კუჭის პრობლემებს გაუმკლავდეს. ფეხით სავალი ბილიკების მეშვეობით სოფლის სტუმრებს გზად ბევრი საინტერესო ნიშნული შეხვდებათ. რკინის სამჭედლო, სადაც დღემდე შრომობს მჭედელი, მდინარის პირას წყლის ენერგიაზე მომუშავე დურგალი, რომელიც ხის ჯამებს მამაპაპური მეთოდით ამზადებს. ამ ხეობაში რამდენიმე თაობა კვლავ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და უხუცესების საშუალო ასაკი 90 წელია.

მდინარე „აკავრეთას" ხეობაში მდებარე მერისში ერთდროულად ბევრი რამის ნახვა შეიძლება. მოკლედ, ეს არის ადგილი, სადაც ტურისტებს ერთროულად შეუძლიათ ბუნებაში დაისვენონ, გაეცნონ აჭარული სოფლის ტრადიციებს, დააგემოვნონ გამორჩეული კერძები, დატკბნენ უნიკალური მერისული ფოლკლორით, ანდა დალაშქრონ ალპური მთები (თავდგირიძე, გვ. 2013; 2019).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ ზემოთ წარმოდგენილი ქალაქისა და სოფლის ტურისტული ადგილების მაგალითზე წარმოდგენა შეგვექმნა აჭარის მომხიბვლელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსა და ტრადიციულ ფასეულობებზე. აქ წლის ნებისმიერ მონაკვეთში ტურისტულ ჯგუფს შესაძლებლობა ეძლევა ალპური დასახლებებიდან დაწყებული ზღვისპირამდე უმოკლეს დროში იმოგზაუროს, გაეცნოს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების წესსა და მათ ისტორიულ მემკვიდრეობას, დააგემოვნოს ნატურალური პროდუქტისაგან დამზადებული კერძები და, შესაბამისად, კულტურულად დაისვენოს.

დასკვნები

მართალია, საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს ეყრდნობა, მაგრამ რადგან იგი საქართველოში ახალგაზრდა მიმართულებაა, ბუნებრივია, დაცული ვერ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან და, შესაძლებელია, მისი ცალკეული ელემენტი ბაზრის მოთხოვნებს სრულად არ შეესაბამებოდეს. ამისათვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმოსაჩენად საჭიროა მედიასაშუალებების უფრო ეფექტური გამოყენება, გენერალური გეგმის შექმნა, სადაც ყველა ტურისტული ადგილი თუ კულტურული ფასეულობა ურთიერთდაკავშირებული იქნება, ხოლო მისი ყველა პარამეტრის ცალკეული ელემენტი კონტექსტური მიმართულებით დამუშავებული.

ლიტერატურა

აზმაიფარიშვილი, მ. (2019). *საქართველოს ჰივიეჰა და ზღვისპირა საკუჰოჰტო ზონის თანამედჰოვე გამოწვევები.*– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა". ბათუმი.

ბარამიძე, რ. (2010).*მუსლიმური საკულტო ძეგლები* (აჭარა), ბათუმი.

ბარამიძე, რ. (2014).*საქართველოს მუსლიმური თემი და სახელმწიფო პოლიტიკა* (1991-2012 წლები).ბათუმი.

ნარიმანიშვილი, გ., ხალვაში, მ., ტუნაძე, თ., შანშაშვილი, ნ., ოქროპირიძე, ს. (2019). *გოდეჰძის უღელტეხილის ისტოჰია და ეთნოაჰქეოლოგია.* ბათუმი.

ელიზიანი, ზ., რაიცი, კ. (2010).*ბათუმის ადგილი აჭაჰის ტუჰისტული ინდუსტჰიის განვითაჰებაში.*– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა". ბათუმი.

თავდგირიძე, ნ. (2023). *„ქოჰწინების ტჰადიცია მეჰისის ხეობაში".*–საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ჩვენი სულიერების ბალავარი". ბათუმი.

მალაყმაძე, რ. ფუტკარაძე, მ. (2024). *აჭაჰის ფიზიკუჰ-გეოგჰაფიული დახასიათება. – აჭაჰა უძველესი დჰოიდან თანამედჰოვეობამდე*. ბათუმი.

მგელაძე, ნ. ლორია, მ. (2010).*ბათუმის თანამედჰოვე ჰელიგიური პოჰტჰეტი (კათოლიკეები, გჰიგოჰიანელები, მუსლიმები, იუდეველები, მაჰთმადიდებელი ბეჰძნები).*–საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა". ბათუმი.

მგელაძე, ნ. გიორგაძე, მ. (2020).*საქართველოს შავიზღვისპირა სოფლების პონტოელი ბეჰძნები*: მიგრაციის მოდელები, მარშრუტები და სოციო-პოლიტიკური მიზეზები. – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიის „მოამბე", ტომი 14, №4. თბილისი.

ჭიჭილეიშვილი, მ. (2010). *ძველი ბათუმის აჰქიტექტუჰის მხატვჰული სტილის ზოგიეჰთი საკითხი.* – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა". ბათუმი.

ჭიჭილეიშვილი, მ. (2013). *ძველი ბათუმის ჰეკონსტჰუქციის ზოგიეჰთი ასპექტი.*– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა". ბათუმი.

ჭიჭილეიშვილი, მ. (2024).*აჭაჰის მატერიალური კულტურული მემკვიდჰეობა.*– აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ბათუმი.

ფილმები

თავდგირიძე, ნ. (2013). ფილმი – მერისი: *ეჰთი დღე სოფელში*. ბათუმი.

თავდგირიძე, ნ. (2019). ფილმი – ნაკონაღვარის მთა: *ეჰთი დღე სოფელში*. ბათუმი.

თავდგირიძე, ნ. (2024). ფილმი -გოდერძი : *ეჰთი დღე სოფელში*. ბათუმი.

ლორია, მ. გიორგაძე, მ. მგელაძე, ნ. (2017). *დოკუმენტური ფილმების ციკლი* – პონტოელი ბერძნები აჭარაში: 1. ფურუნი; 2. წმიდა ნიკოლოზის ეკლესია; 3. წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია; 3. წმიდა გიორგის ეკლესია; 4. ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; 4. პეტრე-პავლესა და წმინდა თეოდორეს ეკლესიები; 5. წმიდა პანტელეიმონის ეკლესია; 6. ფერისცვალების ეკლესია. ბათუმი.